საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო სიმბოლოების და სახელმწიფო მნიშვნელობის სხვა სიმბოლოების აღმართვის, გამოფენის და გამოსახვის წესი

საქართველოს პარლამენტთან არსებული
ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო

თბილისი
2017

ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს პროექტი

მამუკა გონგაძე
დავით ჩხეიძე
ინგა გაბაშვილი
თამთა მელელაშვილი

ISBN 978-9941-0-9944-1

საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახვის წესი

სახელმწიფო გერბი სრული სახით

მცირე სახელმწიფო გერბი

1. საქართველოს დიდი და მცირე სახელმწიფო გერბები გამოისახება სრული სახით ერთ ფერში ფერისა და მეტალის ჰერალდიკური დაშტრიხვის წესის გამოყენებით.

2. საქართველოს დიდი და მცირე სახელმწიფო გერბები გამოისახება კონტურით ერთ ფერში ან ფერისა და მეტალის გამოყენებით.

3. საქართველოს დიდი და მცირე სახელმწიფო გერბები მოცულობით გამოისახება სამ განზომილებაში, როგორც ფერში, ასევე, ერთ ფერში.

გერბების გამოსახვის თანმიმდევრობა მნიშვნელობის მიხედვით

სახელმწიფო გერბი

ავტონომიური რესპუბლიკის გერბი

საქალაქო თვითმმართველობის გერბი

მუნიციპალური თვითმმართველობის გერბი

სათემო გერბი

საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახვის წესი

1. საქართველოს სახელმწიფო გერბს საქართველოს ტერიტორიაზე ყველა გერბთან მიმართებით ენიჭება უპირატესობა და საპატიო ადგილი.
2. საქართველოს სახელმწიფო გერბი სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის (ავტონომიურ, საქალაქო, მუნიციპალურ, სათემო) გერბთან ან გერბებთან ერთად გამოისახება სახელმწიფო წარმომადგენლის ხელმარჯვნივ კიდეში.

3. სამი და მეტი კენტი გერბის ან სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს გამოსახვისას საქართველოს სახელმწიფო გერბი უნდა გამოისახოს შუაში.
4. ოთხი და მეტი ლუწი გერბის ან სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს გამოსახვისას საქართველოს სახელმწიფო გერბი უნდა გამოისახოს წარმომადგენლის ხელმარჯვნივ შუა ადგილიდან პირველი.

დაუშვებელია:

1. საქართველოს სახელმწიფო გერბის ზევით გამოისახოს სხვა სახელმწიფოს გერბი ან სახელმწიფო მნიშვნელობის სხვა სიმბოლო.
2. საქართველოს სახელმწიფო გერბთან ერთად გამოისახოს საქართველოს სახელმწიფო გერბზე უფრო დიდი ზომის სხვა სახელმწიფო გერბი ან სახელმწიფო მნიშვნელობის სხვა სიმბოლო.
3. სახელმწიფო გერბი გამოისახოს სხვა დაწესებულების სახელწოდების ფირნიშზე.
4. სახელმწიფო გერბი გამოისახოს დაზიანებული სახით.

სახელმწიფო გერბის გამოსახვის სხვა შემთხვევები

1. სახელმწიფო წარმომადგენლის სიტყვით გამოსვლისას სახელმწიფო გერბი გამოისახება სახელმწიფო წარმომადგენლის ტრიბუნაზე.
2. სახელმწიფო წარმომადგენლის სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელთან ერთად სიტყვით გამოსვლისას საქართველოს სახელმწიფო გერბი გამოისახება სახელმწიფო წარმომადგენლის და სხვა სახელმწიფო წარმომადგენლის ტრიბუნებზე.



3. სახელმწიფო წარმომადგენლის სიტყვით გამოსვლისას სახელმწიფო გერბი გამოისახება ტრიბუნაზე, ხოლო წარმომადგენელის უკან, ზემოთ, გამოისახება დაწესებულების გერბი ან სახელმწიფო მნიშვნელობის სხვა სიმბოლო.





4. სახელმწიფო წარმომადგენლის კაბინეტში საქართველოს სახელმწიფო გერბი გამოისახება სახელმწიფო წარმომადგენლის უკან, ზემოთ, შუაში. სახელმწიფო დროშა აღიმართება წარმომადგენლის ხელმარჯვნივ.

სახელმწიფო დროშის აღმართვის და გამოფენის წესი





1. საქართველოს სახელმწიფო დროშას საქართველოს ტერიტორიაზე ყველა დროშასთან მიმართებით ენიჭება უპირატესობა და საპატიო ადგილი.
2. სახელმწიფო დროშა აღიმართება და გამოიფინება მხოლოდ საპატიო ადგილას.
3. სახელმწიფო დროშა მუდმივი აღმართვისა და გამოფენის ადგილებში განათებულია ან აღმართულია მხოლოდ დღის ნათელ საათებში.
4. სახელმწიფო დროშა აღმართვისას იშლება და ფრიალისას არ ეხება მიწას, წყალს, კედელს.
5. სახელმწიფო ღონისძიებისას სახელმწიფო დროშა შენობაში შეაქვთ აღმართული.
6. სახელმწიფო ღონისძიებისას სახელმწიფო დროშა აღიმართება და დაეშვება სახელმწიფო ჰიმნის თანხლებით.
7. სახელმწიფო ღონისძიებისას სახელმწიფო დროშას აღმართავს და დაუშვებს სამხედრო ან სამოქალაქო პირი თეთრი ხელთათმანებით.



8. საქართველოს სახელმწიფო დროშა და სხვა სახელმწიფოს დროშა/ დროშები აღიმართება ან გამოიფინება თითოეული მისთვის მინიჭებულ ადგილას, ერთი სიგრძის ტარზე ან ფლაგშტოკზე, ერთ სიმაღლეზე.
9. საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად სხვა დროშების მწკრივში, წრიულად და ნახევარწრიულად აღმართვისას სხვა სახელმწიფო დროშები აღიმართება სახელმწიფოების ქართული სახელწოდებების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის, ანბანის ასოთა თანმიმდევრობით (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სახელმწიფოების აფხაზური სახელწოდებების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენისა და აფხაზურის, ანბანის ასოთა თანმიმდევრობით).
10. დროშის აღმართვისას დამსწრე დროშისაკენ დგას პირისახით.

დაუშვებელია სახელმწიფო დროშის:
გამოყენება არადანიშნულებისამებრ; მოხატვა ან ნებისმიერი სხვა გამოსახულებით შემკობა; დაზიანება და შენახვა დროშისთვის საფრთხის შემცველ პირობებში; დამცირება სხვა დროშასთან მიმართებით.

დროშების აღმართვის და გამოფენის თანმიმდევრობა მნიშვნელობის მიხედვით

- საქართველოს სახელმწიფო დროშა;
- სხვა ქვეყნების სახელმწიფო ან ეროვნული დროშა;
- საერთაშორისო ორგანიზაციის დროშა;
- საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის დროშა;
- საქართველოს საქალაქო თვითმმართველობის დროშა;
- საქართველოს მუნიციპალური თვითმმართველობის დროშა;
- საქართველოს მთავრობის უწყებრივი დროშა;
- საზოგადოებრივი გაერთიანების/ორგანიზაციის დროშა;
- სხვა დროშა.



სახელმწიფო დროშის სხვა დროშებთან ერთად აღმართვის და გამოფენის წესი

1. ორი დროშის აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება სახელმწიფო წარმომადგენლის ხელმარჯვნივ.



2. სამი და ხუთი დროშის აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება შუაში.





3. ოთხი დროშის აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება ოთხი დროშიდან მწკრივში მეორე, წარმომადგენლის ხელმარჯვნივ.



4. ექვსი და მეტი დროშის აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა წარმომადგენლის ხელმარჯვნივ კიდეში აღიმართება და მწკრივში იკავებს პირველ საპატიო ადგილს.



5. დროშების წრიულად აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა წრის შუა საპატიო ადგილას აღიმართება.



6. შენობის შესასვლელთან დროშების წრიულად ან ნახევარწრიულად აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა შესასვლელის პირდაპირ აღიმართება, შუა საპატიო ადგილას.





7. შენობის შესასვლეთან, წარმომადგენელი დაწესებულების მხრიდან მარჯვნივ, გზის სავალი ნაწილის გასწვრივ, დროშების ერთ მწკრივად აღმართვისას სახელმწიფო დროშა მწკრივში აღიმართება ბოლო.

8. შენობის შესასვლელთან, გზის სავალი ნაწილის გასწვრივ, დროშების ორ მწკრივად აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება: წარმომადგენელი დაწესებულების ხელმარჯვნივ მწკრივში - ბოლო.



9. სხვა შემთხვევაში შენობის შესასვლელთან, გზის სავალი ნაწილის გასწვრივ, დროშების ორ მწკრივად აღმართვისას საქართველოს ორი სახელმწიფო დროშა აღიმართება: წარმომადგენელი დაწესებულების ხელმარჯვნივ მწკრივში - ბოლო და ხელმარცხნივ მწკრივში - ბოლო.



10. საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად სხვა დროშების მწკრივში, წრიულად და ნახევარწრიულად აღმართვისას სხვა სახელმწიფო დროშები აღიმართება სახელმწიფოების სახელწოდებების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის, ანბანის ასოთა თანმიმდევრობით (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სახელმწიფოების აფხაზური სახელწოდებების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის აფხაზურის, ანბანის ასოთა თანმიმდევრობით).

11. საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება საქართველოს სახელმწიფო დაწესებულების წინ და სახურავზე.



12. სახელმწიფო წარმომადგენელი დაწესებულებასთან დროშებისა და ფლაგშტოკების რაოდენობის მიუხედავად, სახელმწიფო დროშა ზემოთ განსაზღვრული წესის მიხედვით აღიმართება.



სახელმწიფო დროშის სხვა დროშებთან ერთად აღმართვის და გამოფენის წესი

1. სახელმწიფო წარმომადგენლის სიტყვით გამოსვლისას სახელმწიფო დროშა სახელმწიფო წარმომადგენლის ხელმარჯვნივ აღიმართება.



2. სახელმწიფო წარმომადგენელთან ორი დროშის აღმართვისას სახელმწიფო დროშა წარმომადგენლის ხელმარჯვნივ აღიმართება.



3. სახელმწიფო წარმომადგენელთან ორი დროშის ხელმარჯვნივ აღმართვისას სახელმწიფო დროშა აღიმართება ხელმარჯვნივ კიდეში.



4. სახელმწიფო წარმომადგენელთან სამი დროშის, ორი ხელმარჯვნივ და ერთი ხელმარცხნივ, აღმართვისას, სახელმწიფო დროშა აღიმართება ხელმარჯვნივ კიდეში.



3. კენტი რაოდენობის დროშის აღმართვისას სახელმწიფო დროშა შუა ადგილას აღიმართება.



4. ოთხი დროშის აღმართვისას სახელმწიფო დროშა აღიმართება მწკრივში მეორე წარმომადგენლისგან ხელმარჯვნივ პირველი.



5. ორი სახელმწიფოს წარმომადგენლის სიტყვით გამოსვლისას საქართველოს სახელმწიფო წარმომადგენელი ხელმარჯვნივ საპატიო ადგილს უთმობს სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელს.



6. ორი სახელმწიფოს წარმომადგენელი, თითოეული წარმოდგენილი თითო სახელმწიფო დროშით: საქართველოს სახელმწიფო წარმომადგენელი ხელმარჯვნივ საპატიო ადგილს უთმობს უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელს. საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება საქართველოს წარმომადგენლის ხელმარცხნივ.



7. ორი სახელმწიფოს წარმომადგენელი, თითოეული წარმოდგენილი ორი სახელმწიფო დროშით: საქართველოს სახელმწიფო წარმომადგენელი ხელმარჯვნივ საპატიო ადგილს უთმობს სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელს. თითოეული სახელმწიფოს წარმომადგენელი აღმართავს ორივე სახელმწიფო დროშას და საქართველოს სახელმწიფო დროშა ორივე შემთხვევაში ხელმარჯვნივ საპატიო ადგილას აღიმართება.



8. ორი სახელმწიფოს წარმომადგენელი, თითოეული წარმოდგენილი ორი სახელმწიფო და ერთი საერთო დროშით: თითოეული სახელმწიფოს წარმომადგენელი აღმართავს სამივე დროშას და საქართველოს სახელმწიფო დროშა ორივე შემთხვევაში შუა საპატიო ადგილას აღიმართება.



9. სამი სახელმწიფოს წარმომადგენელი, თითოეული წარმოდგენილი ერთი სახელმწიფო და ერთი საერთო დროშით: თითოეული სახელმწიფოს წარმომადგენელი აღმართავს ერთ სახელმწიფო დროშას და სამივე წარმომადგენელი აღმართავს ერთ საერთო დროშას, ოთხი დროშიდან საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება რიგით მეორე საპატიო ადგილას.



სახელმწიფო დროშის აღმართვის და გამოფენის წესი სხვა შემთხვევებში



1. ორი სახელმწიფოს წარმომადგენლების შეხვედრის მაგიდასათან თითოეული მხარე საკუთარ სახელმწიფო დროშას აღმართავს ხელმარჯვნივ.



2. სამი სახელმწიფოს წარმომადგენლების შეხვედრის მაგიდასთან საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება შუა საპატიო ადგილას.



3. მრავალი სახელმწიფოს წარმომადგენლების მაგიდასთან შეხვედრისას საქართველოს სახელმწიფო დროშასთან ერთად, მაგიდაზე სხვა დროშების მწკრივში, წრიულად და ნახევარწრიულად აღმართვისას სხვა სახელმწიფო დროშები აღიმართება სახელმწიფოების ქართული სახელწოდებების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის, ქართულის, ანბანის ასოთა თანმიმდევრობით (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფოების აფხაზური სახელწოდებების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ენის აფხაზურის, ანბანის ასოთა თანმიმდევრობით).



გლოვა

1. გლოვისას სახელმწიფო დროშა ფლაგშტოკის 1/3 სიმაღლით არის დაშვებული და აღმართულია ფლაგშტოკის 2/3 სიმაღლეზე.



2. გლოვისას სახელმწიფო დროშის დაშვების წესი: სახელმწიფო დროშა აღიმართება ფლაგშტოკის ბოლომდე და უკვე შემდეგ დაეშვება ფლაგშტოკის 1/3 სიმაღლით, ფლაგშტოკის 2/3 სიმაღლეზე.



3. გლოვისას დაშვებული სახელმწიფო დროშის ჩამოხსნის წესი: ფლაგშტოკის 1/3 სიმაღლით დაშვებული და ფლაგშტოკის 2/3 სიმაღლეზე აღმართული სახელმწიფო დროშა აღიმართება და უკვე შემდეგ დაეშვება და ჩამოიხსნება.





4. გლოვისას სახელმწიფო დროშისა და სხვა სახელმწიფო დროშის აღმართვისას საქართველოს სახელმწიფო დროშა აღიმართება შავი ბაფთით, რომლის სიგრძეც სახელმწიფო დროშის სიმაღლის 1/2-ს არ აღემატება.

5. გლოვისას სახელმწიფო დროშა შენობიდან გადმოფენილია შავი ბაფთით.





6. დამსახურების მქონე სამხედრო ან სამოქალაქო პირის დაკრძალვისას სახელმწიფო დროშა შეიძლება გადაფენილი იყოს გარდაცვლილის კუბოზე ისე, რომ ფარავდეს ჩასასვენებლის ყველა ნაწილს, გარდა ძირისა. კუბოს საფლავში ჩაშვების წინ დროშა უნდა მოიხსნას და გადაეცეს გარდაცვლილის ოჯახის წევრს ან სახელმწიფოს შესაბამის წარმომადგენელს.

ტრანსპორტი:

1. სახელმწიფოს წარმომადგენლის ვიზიტისას ან საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ავტომანქანაზე სახელმწიფო დროშა აღმართულია ავტომანქანის წინა მარჯვენა კიდეზე.



2. სახელმწიფო დროშა გამოისახება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ გემსა და თვითმფრინავზე.



აღმართული დროშებით მსვლელობისას:

1. გზის სავალი ნაწილის გასწვრივ მსვლელობისას საქართველოს სახელმწიფო დროშა მწკრივში აღიმართება პირველი.



2. გზის სავალი ნაწილის მიმართ მართობულად მსვლელობისას საქართველოს სახელმწიფო დროშა მწკრივში პირველი აღიმართება მარჯვენა კიდეში ბოლო წარმომადგენლის მიერ.



3. სხვა შემთხვევაში გზის სავალი ნაწილის მიმართ მართობულად მსვლელობისას სახელმწიფო დროშა მწკრივის ორივე, მარჯვენა და მარცხენა კიდეში აღიმართება.



სტადიონზე

სპორტული ღონისძიებებისას სახელმწიფო დროშა აღიმართება სპორტული არენის მთავარი შესასვლელის პირდაპირ.



მთავარი შესასვლელი

პრეზიდენტის შტანდარტის აღმართვის და გამოფენის წესი

1. საქართველოს პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლისას საქართველოს სახელმწიფო დროშა საქართველოს პრეზიდენტის ხელმარჯვნივ აღიმართება, საქართველოს პრეზიდენტის ხელმარცხნივ აღიმართება საქართველოს პრეზიდენტის შტანდარტი.



2. საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტის სხდომაზე დასწრებისას პარლამენტის შენობის წინ სახელმწიფო დროშა აღიმართება ხელმარჯვნივ, ხელმარცხნივ აღიმართება პრეზიდენტის შტანდარტი.



3. პრეზიდენტის მიერ პარლამენტის შენობის დატოვებისას პრეზიდენტის შტანდარტი დაეშვება.



4. საქართველოს პარლამენტში პრეზიდენტისათვის მუდმივად გამოყოფილ ადგილას პრეზიდენტის ხელმარჯვნივ აღიმართება სახელმწიფო დროშა, ხელმარცხნივ - პრეზიდენტის შტანდარტი, პრეზიდენტის პარლამენტში ყოფნის მიუხედავად.

5. საქართველოს პარლამენტში პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლის წინ პრეზიდენტისათვის მუდმივად გამოყოფილი ადგილიდან პრეზიდენტის შტანდარტი საპატიო დაცვის თანხლებით გადადის და აღიმართება პარლამენტის სხდომათა დარბაზში სახელმწიფო დროშისგან მარცხენა მხარეს. სიტყვის დამთავრების შემდეგ, პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დარბაზის დატოვებისას, პრეზიდენტის შტანდარტი საპატიო დაცვის თანხლებით ბრუნდება მისთვის მინიჭებულ ადგილას.



6. პრეზიდენტის გადაადგილებისას ყველა სატრანსპორტო საშუალებაზე მარჯვენა მხარეს აღმართულია სახელმწიფო დროშა, მარცხენა მხარეს - პრეზიდენტის შტანდარტი.